შპს სამაუწყებლო კომპანია «რუსთავი 2-ის»

კ ო ნ ც ე ფ ც ი ა

სამაუწყებლო კომპანია «რუსთავი 2-ის» კონცეფციას წარმოადგენს მაუწყებლობა მთელი საქართველოს მასშტაბით და საზოგადოების ინფორმირებულება. «რუსთავი 2-ის» კონცეფცია მოიცავს მაყურებლისათვის მაქსიმალურად მრავალფეროვანი ფორმატისა და შინაარსის გადაცემების შეთავაზებას, კერძოდ, საინფორმაციო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ანალიტიკური, მიმოხილვითი, გასართობი, იუმორისტული, მუსიკალური, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, შემეცნებით-გასართობი, საბავშვო, ინტელექტუალური, დოკუმენტური და სატელევიზიო, შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად სხვადასხვა ტიპისა და სარედაქციო დასაბუთების გადაცემების მომზადება და ჩვენება სატელევიზიო ეთერით.

სამაუწყებლო კომპანია «რუსთავი 2-ის» კონცეფცია ეფუძნება საკუთარი საქმიანობის მუდმივ განვითარებასა და წინსვლაზე ორიენტირებულობას, ქართველი მაყურებლისათვის მედიის სფეროში ინოვაციური პროექტების შეთავაზებას და მსოფლიო მედია ბაზარზე მიმდინარე სიახლეების მიწოდებას.

სამაუწყებლო კომპანია «რუსთავი 2-ს» გააჩნია სულ სამი სამაუწყებლო პლატფორმა სამი არხის სახით: «რუსთავი 2», «კომედი არხი» და «მარაო».

„კომედი არხის“ კონცეფციას წარმოადგენს მაყურებლისათვის გასართობი შინაარსის გადაცემის მიწოდება, იუმორისტული, მუსიკალური, სპორტული და სხვა სახის სარედაქციო დასაბუთების გადაცემების მომზადება.

„მარაოს“ კონცეფციას წარმოადგენს მაყურებლისათვის გასართობი შინაარსის გადაცემების მომზადება, იუმორისტულ, მუსიკალურ ჟანრში, მოდის, შოუბიზნესის, ხელოვნებისა და სხვადასხვა თემატიკაზე და სხვადასხვა სახის სარედაქციო დასაბუთების გადაცემების მომზადება.

ნიკა გვარამია
გენერალური დირექტორი